ᲒᲠᲝᲛᲔᲑᲘᲡᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲥᲔᲛᲔᲛᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥ. ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ, ᲒᲚᲔᲮᲗᲐ, ᲤᲘᲗᲘᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲖᲦᲕᲐᲣᲠᲗᲐ ᲓᲔᲪᲘᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲝᲪᲔᲑᲘ

ᲪᲐᲙᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲙᲐᲛᲔᲚ (ᲧᲝᲤᲘ. ᲓᲘᲓᲘ ᲛᲐᲕᲐᲠᲘᲡ) Ქ. № 68, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐᲜᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲧᲣᲗᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ-ᲣᲥᲛᲔᲑᲘᲡᲘᲡ, 10—11 ᲡᲐᲐᲗᲘ.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ:) ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ 14—76) ᲛᲔᲠᲕᲘᲜᲘᲡ 10—58
ᲦᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲑᲘ 13—80

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲡ�პᲔᲥᲢᲘ, 34:
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 10—49
ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲔᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: ᲛᲣᲨᲐ-ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲡᲣᲠᲔᲑᲘᲗᲘᲡ 90 Კ., ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ—1 ᲛᲐᲗ. ᲓᲐ 20 ᲙᲐᲞ.,
ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ: ᲠᲝᲜᲙᲝᲜᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲡᲢᲠᲝᲤᲘᲜᲘ—40 ᲙᲐᲞ., ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲡ—ᲝᲠᲯᲐᲠ ᲛᲔᲢᲠᲘ, ᲡᲐᲛᲐᲚᲝᲕᲘᲐᲜᲘ—10—15—20 ᲛᲐᲗ. ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲙᲝᲠᲬᲔᲕᲐ—1 Მ., ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲡᲬᲠᲐᲤᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲠᲓᲔᲚᲘ 4 ᲡᲐᲐᲗᲛᲓᲘ.
ᲦᲐᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ 13—80
ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲘᲡ 5—42.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

- ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲩᲔᲗᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲐᲭᲝᲗᲐ ᲣᲪᲮᲝᲗᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.
- ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐ ᲒᲐᲜᲐᲑᲠᲫᲝᲚᲡ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐᲡ.
- ᲡᲚᲝᲕᲐᲗᲔᲗᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.
- ᲘᲜᲓᲝᲛᲔᲗᲨᲘ ᲛᲦᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲗ.
- ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲗ ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲨᲝᲣᲠᲐᲜᲑᲐ.
- ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲛ ᲛᲝᲛᲘᲬᲕᲓᲐ ᲪᲔᲙᲐᲚ ᲮᲐᲖᲘ.
- ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲜᲐᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲯᲐᲕᲔᲗ.
- ᲩᲔᲮᲝ.-ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ.

ᲗᲐᲑᲐᲗᲘ, 26 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1926 Წ. — ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ — ᲤᲐᲡᲘ 5 ᲙᲐᲞ. № 144 (1599)

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲬᲔᲠᲐ ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ—ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲠ. № 34, (ᲢᲔᲚᲔᲤ. 10—49)

ᲞᲔᲠᲡᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲒᲚᲐᲓ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ ᲗᲣᲯᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲛᲝᲮᲓᲐ ᲨᲔᲢᲐᲙᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲛᲣᲨᲘᲗᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲒᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲤᲘᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲨᲘ

ᲞᲔᲠᲡᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲐ, ᲞᲔᲠᲡᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲞᲐᲠᲚᲘᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

**ᲨᲔᲣᲫᲚᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲗ ᲥᲐᲓᲚᲓᲦᲔ ᲤᲘᲤᲚᲘᲡ ᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲓᲬᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲓᲐᲝᲑᲘᲗᲔᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲗ ᲠᲣᲡᲗᲔᲗᲨᲘ 1919—20 ᲬᲚᲘᲡ, ᲓᲔᲜᲘᲙᲘᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲠᲐᲜᲒᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲢᲘᲕᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲨᲘ. ᲐᲥᲕᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲣ ᲕᲘᲜᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲗ ᲠᲣᲡᲗᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲐ ᲝᲡᲛᲝᲗᲐ ᲨᲠᲘᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

ᲨᲔᲣᲫᲚᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲗ ᲥᲐᲓᲚᲓᲦᲔ ᲤᲘᲤᲚᲘᲡ ᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲓᲬᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲪᲘ ᲓᲐᲝᲑᲘᲗᲔᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲗ ᲠᲣᲡᲗᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲐ ᲝᲡᲛᲝᲗᲐ ᲨᲠᲘᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

ᲨᲔᲣᲫᲚᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲮᲔᲠᲘᲗ ᲠᲣᲡᲗᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲐ ᲝᲡᲛᲝᲗᲐ ᲨᲠᲘᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ:

**ᲨᲔᲣᲫᲚᲐᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲘᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲗ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲓᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲣᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲚᲐᲠᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲘᲛᲝᲜᲘᲡᲨᲘ

მარშალ პილსუდსკის კონსტიტუცია

მთავრობის პროექტი მოითხოვს პრეზიდენტისათვის დიქტატორულ უფლებებს

სამრეწველო რაიონიზში მოელიან ფეიქართა საერთო გაფიცვას

მთავრობის საფინანსო პოლიტიკით უკმაყოფილოა ყველა პარტიები

ბლეხთა პარტიის პროგრამა

ვარშავა, 25 ივნისი. **ბლეხთა პარტიამ პიასტება სეიმში შეიტანა პროექტი კანონისა, რომელიც რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლებას აძლევს შესცვალოს არსებული საარჩევნო კანონი.** კანონპროექტი მოითხოვს დეპუტატების რიცხვის შემცირებას 444-დან 300-მდე და სენატორებისას 300-დან 75-მდე. კანონპროექტის თანახმად ყენჭის ყრა უნდა ხდებოდეს ცალ-ცალკე ოლქებში.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ პარტიების მიერ შემოტანილი კონსტიტუციის პროექტები აღმასრულებელ ხელისუფლების განმტკიცების მხრივ კიდევ უფრო შორს მიდიან, ვიდრე მთავრობის პროექტი.

ყველა უკმაყოფილოა

ვარშავა, 24 ივნისი. ფინანსთა მინისტრის **კლარნერის** გამოსვლამ ბიუჯეტის საკითხის შესახებ გოლება გამძიმა ოფიციალ როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ნაწილში.

გამოსული ორატორები ხაზს უსვამდენ, რომ მთავრობას არა აქვს სამეურნეო პროგრამა და რომ კლარნერის განცხადება არის ვიტოსის ჩამოგდებულ მთავრობის პროექტების განმეორება.

სეიმმა უარჰყო კომუნისტ **ვირსკის** წინადადება, რომ ბიუჯეტი არ იქნას შიდეული ცნობად და ის გადაეცეს კომისიას.

კონსტიტუციის პროექტი

ვარშავა, 24 ივნისი. კონსტიტუციის შეცვლის პროექტს 6 ივლისს განიხილავენ.

მთავრობის პროექტის გარდა, სეიმში შეტანილია პიასტის, ნაციონალ-დემოკრატიისა და დუბადიკების (ქრისტიანულ-ნაციონალისტური პარტია) კონსტიტუციის შეცვლის პროექტები. დუბადიკების პროექტი ამომრჩეველის წლოვანების ცენზის გადიდების და დეპუტატთა რიცხვის შემცირების ითვალისწინებენ, ამასთანავე, დეპუტატების $^2/_3$ აირჩევა საყოველთაო კენჭის ყრით და $^1/_3$ კი სამეურნეო ორგანიზაციების მიერ. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე იმას, რომ **პრეზიდენტს ენიჭება უფლება გააუქმოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები.**

პიასტის პროექტი ითვალისწინებს საარჩევნო კანონის შეზღუდვას.

ფეიქრებიდან

ვარშავა, 24 ივნისი. საბიუჯეტო კომისიაში დამთავრდა კამათი ბიუჯეტის შესახებ. მეორე წაკითხვის დროს კომისიამ მიიღო წინადადება ბიუჯეტის გასაღების ნაწილის 430-დან 400 მილიონამდე შემცირების შესახებ და უარჰყო გადასახადების 10%-ით გადიდება.

ბარტელმა და **კლარნერმა**, რომლებიც ამ დროს სხდომაზე იყვნენ, **დემონსტრატიულად დასტოვეს დარბაზი.**

პროექტის მესამე წაკითხვა ნერვიულ ატმოსფერაში სწარმოებდა. საკუთარი გამარჯვებით შეშინებულმა დეპუტატმა უკან დაიხიე და ხმის უმრავლესობით მძიღეს მთავრობის პროექტი უცვლელად.

გაფიცვების მოლოდინი

ვარშავა, 25 ივნისი. ლოძის მრეწველებმა უარყვეს მუშების მოთხოვნილება სამუშაო ხელფასის გადიდების შესახებ, მიუხადავად იმისა, რომ მოთხოვნილება ულტიმატუმის ხასიათის იყო. **მუშები იმუქრებიან, რომ გამოაცხადებენ გაფიცვას, თუ მოთხოვნილება 30 ივნისამდე არ იქნა დაკმაყოფილებული.**

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ორგანო **„რაბოტნიკი“** ფიქრობს, რომ **გაფიცვის რკალში მოექცა ლოძის, ბელოსტოკის და სხვა საფეიქრო რაიონების ყველა საფეიქრო ფაბრიკები.**

კომუნისტების დევნა

პრაგა, 24 ივნისი. **პრაგის სასამართლომ მოითხოვა დეპუტატთა პალატისაგან, რომ მან წაართვა დეპუტატის შეუვალობის უფლება 21 კომუნისტ-დეპუტატს** და აგრეთვე ნაციონალ-სოციალისტების 6 დეპუტატს, მათ რიცხვში ყოფილ მინისტრს **ფრანზეს.** სასამართლოს განზრახული აქვს პასუხისგებაში მისცეს ისინი სახელმწიფოს დაცვის ყანონის და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის.

ბერმანიაში

ბერლინი, 24 ივნისი. რეიხსტაგის საორგანიზაციო კომისიამ უარჰყო ჰამბურგის პროკურატურის მოთხოვნილება კომუნისტ **ურბანსისათვის** დეპუტატის შეუვალობის ჩამორთმევის შესახებ. ურბანსს სასამართლომ მიუსაჯა 6½ წლის ციხე 1923 წელს ჰამბურგის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ამერიკის შეიარაღება

ვაშინგტონი, 24 ივნისი. **კანონპროექტი შეერთებულ შტატების საჰაერო ძალთა გაძლიერების შესახებ მიღებულ იქნა კონგრესის ორივე პალატის მიერ.**

კანონპროექტის თანახმად მახლობელ 5 წელში გადადებულ უნდა იქნეს 85 მილიონი დოლარი 1.947 ჰიეროპლანის და ორ მაგარ დირიჟაბლის ასაგებათ.

კანონპროექტი გულისხმობს აგრეთვე არმიის და ფლოტის საზიფუნელო კადროების გაძლიერებას და სამხედრო ავიაციის მუდმივ შუამდგომლობას განსაზღვრაკეს 1.000 აპარატით.

საგაჭრო ხელშეკრულება საბერძნეთთან

ათინა, 24 ივნისი. **საბერძნეთ-საბჭოთა კავშირის საბაჟო ხელშეკრულების ხელმოწერასთან ერთად მოხდა ნოტების გაცვლა საზღვაო მიმოსვლის მოწესრიგებისა და სავაჭრო წარმომადგენლობის რეჟიმის შესახებ.**

ფრანგები სირიაში

ჯარების გადაჯგუფება

პარიზი, 24 ივნისი. საფრანგეთის ... ში ჯგუფ-ყვანის შესახებ.

ცენზურის გაუქმება

ანგორა, 24 ივნისი. სეტეიში არებული ... ცენზურა.

მსახიობთა კონფერენცია

ბერლინი, 24 ივნისი. **ბერლინში გახსნა მსახიობების საერთაშორისო კონფერენცია.** საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე **ლავინსკიმ** კონფერენციას გადასცა სალამი საბჭოთა კავშირის ხელოვნების მუშაკთა სახელით.

მცირე თეატრის დირექტორმა **ვლადიმიროვმა** წაიკითხა რეფერატი საბჭოთა თეატრის განვითარების შესახებ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ.

შეთქმულება იბნ-საუდის წინააღმდეგ

ლონდონი, 24 ივნისი. **გეჯაზში** აღმოაჩინეს შეთქმულება იბნ-საუდის წინააღმდეგ. დატუსაღებულია ბევრი გამოჩენილი შეიხი.

ინდოეთი

ლონდონი, 25 ივნისი. დღეიდან მიღებული ცნობით, ისტორიულ მეჩეთის „ტაჯ პურის“ მახლობლად მოხდა სერიოზული დემონსტრაცია. **მთავარ ქუჩებზე დაბანაკებულია სამხედრო რაზმები, ქალაქში ჯავშნიანი ავტომობილები დადგან.**

გამოსვლების დროს მოკლულ იქნა 4 და დაიჭრა 43. დაჭრილებს შორის არის 1 პოლიციელი—ინდოელი, დანარჩენი მუსლიმანები.

სხვადასხვა

ეგიპტელის დამსხვრევა. რიო-დე-ჟანეიროს (ბრაზილიაშია) მახლობლად ეგიპტელი ლიანდაგს გადაცდა და დაიმსხვრა. მოკლულია ბევრი და დაჭრილია რამოდენიმე ასი მგზავრი.

— შოფერების გაფიცვა. ანტვერპენში (ბელგია) გაიფიცენ შოფერები, რომელნიც მოითხოვენ სამუშაო ხელფასის მომატებას.

— დედამიწის გარშემო. ორი ამერიკელი ლიტონ უესი და ედგარდ ევანსი, რომელთაც განზრახული აქვთ დედამიწის გარშემო შემოგლა 28 დღეის განმავლობაში, ჩამოვიდნენ ბერლინში. მათ იმედი აქვთ, რომ ოთხშაბათს მოსკოვში იქნებიან, საიდანაც მუკდენში რკინის-გზით იმგზავრებენ.

— ტრანსფორკული გადაფრენა ლონდონში. მოვიდა ინგლისის 4 სამხედრო პაერო ჰაერკლანი. ეს ჰაერკლანები გადაფრინდენ ქაირიდან კაპშტადში, იქიდან ისევ ეგვიპტეში და შემდეგ ინგლისში.

გადაფრენის მთელი მანძილი უდრის 14.000 მილს.

— გადაფრენა ტოკიო-კოპენჰაგენი. გაზეთი „დეილი მეილ“-ის კოპენჰაგენელი კორესპონდენტი იტყობინებენა. რომ ლეიტენანტი ბოტეგდი. დანიის არმიის სამხედრო მფრინავი, ტოკიოდან კოპენჰაგენში გადაფრინდა 9 დღის განმავლობაში.

— ტრანსოფრა ჰაერში. 4000 ფუტის სიმაღლეზე ერთმანეთს დაეჯახა 2 აეროპლანი, რომელთაც მართავდენ ფრანგი მფრინავები ბერტენი და ზარეზინი. ორივე მანქანა მიწაზე ჩამოვარდა. აპარატები გაფუქდა. მფრინავები გადარჩენ.

— გენერალ ნოლეს დანშვნა გენერალი ნოლე დანიშნა რეინის არმიის უფროსად.

საბჭოთა კავშირი

რუსეთი

ბრძოლა წყალდიდობასთან

მოსკოვი, 25 ივნისი. საბჭოთა რუსეთის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი **წრაფო წესით ეგზავნებათ. ადგილები სავსებით დაკმაყოფილებული არიან სათესლე მასალით.** მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის აზრით, წყალდიდობისგან ნათესები და ბოსტნეულები ... ...

ბუბონიკა ... ... **ბუბონის ცეკას პრეზიდიუმმა საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს გადასცა 103.000 მანეთი ინვალიდის სამთამადნო მუშებისათვის გასაგზავნათ.**

მომეზირნეობის რეჟიმის შესახებ

მოსკოვი, 25 ივნისი. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატი აღნიშნავს, რომ მომეზირნეობის რეჟიმის გატარებასთან დაკავშირებით ადგილებზე ზოგიერთი სამეურნეო ორგანოები მომეზირნეობას ეწევიან შრომის დაცვის ხარჯზე.

შრომის სახ. კომისარიატი აცხადებს, რომ მომეზირნეობის რეჟიმის ასეთი გაგება სრულებით არ არის სწორი.

შრომის დაცვის სფეროებში ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელნიც მიმართული იქნებიან შრომის პირობების გაუმჯობესებისა და ბაჯანსაღებისაკენ, არამც თუ არ ეწინააღმდეგება მომეზირნეობის რეჟიმს, არამედ, პირიქით, საკუთრით შეეფერება მას, ხელს უწყობს რა შრომის ნაციონალიზაციის და მისი ნაყოფიერების ზრდას.

რკინისგზის მუშაკის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება

ჩვენი მხურვალე სალამი კურსდამთავრებულებს

რკინის-გზელთა მუშაკის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რკინისგზელთა მუშათა ფაკულტეტში 25—26 სასწავლო წელი პირველ საზეიმო გამოშვებით სრულდება. გამოშვების აქტი (საგანგებო შეკრებულება), ფაკულტეტის პროფიდეფუნის დადგენილებით, უნდა მოხდეს ნაძალადევის თეატრში. იქ წარდგენილი იქნება სამი წლის სასწავლო-ორგანიზაციულ მოღვაწეობის ანგარიში თბილისის რკინის გზის პროლეტარიატის წინაშე.

ამასთანავე მუშაკის სტუდენტები ემზადებიან ამ დღისათვის სპეციალურად დაწერილ თავის საკუთარ ნაწარმოებთა დასადგამთ, რომელთა მიზანია დაანახვონ თბილისის მთავარ სახელოსნოს, საყოველ და წარმოების სხვა დარგების ხალმკრთა წარმომადგენლებს მუშა ბეჭდილებანი, ხარაგებანი და ზეიმ-ლაბის მიღწევანი მეცნიერების სხვადასხვა დარგში. წარმოდგენილი იქნება: დრამა—ძველი და ახალი სტუდენტების ცხოვრებიდან; სპეციალურად უკანასკნელი კურსის მუშაკელის მიერ დაწერილი სურათი: მუშაკის ცხოვრება“. ლექსები, სცენები, სიმღერები—სპეციალურად მუშაკისადმი მიძღვნილი ჰიმნი და სხვა ახეთები მუშაკის ცხოვრების გასაცნობად.

რ.-გ. მუშაკი აღმოცენდა იმ პირობებში, რომელიც დამკარდა პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადებით. პირველად არსებობდენ ცალკე ჯგუფები, რომლებიც შემდეგ გაერთიანდენ და შეაქმნეს მუშათა ინტერნაციონალური სალამოს კურსები რუსულ-ქართული განყოფილებებით. აღნიშნულ კურსების განეთარებამ მალე მიიქცია საქართველოს განათლების კომისარიატის ყურადღება. მისი დადგენილებით სალამოს კურსები—რ.-გ. მუშათა ფაკულტეტად გამოცხადდა.

ხოლო 1925 წლის 10 ნოემბრის რიცხვით ამას მოყვა იმავე განათლების კომისარიატის კოლეგიის დადგენილება იმის შესახებ, რომ რკინისგზელთა მუშათა ფაკულტეტი ითვლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაწილად და ფაკულტეტის გამგე მეკანიკოვად შედის უნივერსიტეტის გამგეობაში.

ამრიგად რ.-გ. მუშაკი ორგანიზულად უკავშირდება უმაღლეს სასწავლებლებს და თავის აღზრდილებს უგამოცდოთ აწვდის უკანასკნელს.

მუშაკი ამიერ-კავკასიის რკ.-გზების ხარჯზედ ინახება, ხოლო იდეურ - ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას განათლების კომისარიატისაგან დებულობს. ფაკულტეტი ორი განყოფილებისაგან შესდგება: ქართულის და რუსულისაგან; თავის შემადგენლობით ის ინტერნაციონალურია. ზოლო ბორკილები, ციხე, ციმბირი, ტყორცა—ესენი ეს ყველაფერი გუშინდელი დღეს არ მოგვეგონენს! ჩვენ ცხეტებში ვსწავლობდით, ჩვენი ამხანაგი მუშაკელები კი ბეგრად უფრო ხელსაყრელ პირობებში მუშაობენ.

მუშაკელთა ცოდნის გასაღრმავებლად და მუშათა კლასის უკეთესად მოსამზადებლად მუშაკებზე შემოღებული იქნება გამოცდები. ძველმა ბოლშევიკებმა ახალგაზრდებისათვის სამაგალითოდ, ჩინებულად ჩაამარეს გამოცდები. და აქაც ისევე არაჩელის ხელმძღვანელობით მიდიან ისინი უმაღლეს სასწავლებელში. თითქმის განვეკენ უბზდებს ძველრფას არაჩელას ახალ ამოცანებს ისტორია, რაგვარ სწორედ ამ დროს მოხდა თბილისის უმაღლეს სასწავლებლების ფაქტიური გასაბუნება, როდესაც რ.-გ. მუშაკმა მოახდინა პირველი გამოშვება ახალგაზრდებთან ერთად ძველი კომუნისტების ჯგუფისა.

უგზავნით რა უმაღლეს სასწავლებლებს რ.-გ. მუშაკელთა პირველ მწერივს „ბრძოლისა და გამარჯვების დროშით“, უსურვებთ, რომ ისინი ყოველ განუწყვეტელი რგოლი იმ ჯაჭვისა, რომელიც აერთიანებს ჯერ ერთად-ერთ მძიმე ინდუსტრიასა და ტრანსპორტს უმაღლეს სასწავლებლებთან.

უმაღლეს სასწავლებელთა ლაბორატორიებში შრომის წარმოებითი პროცესში დგაროვილ ცოდნა გამოყენებულ საშუალებთან, ნორჩნი და მბრძოლი ახალი თაობა სოციალისტური წარმოების ღირსეული და საუკეთესო ხელმძღვანელი გამოვა.

მოხუცფაკელების მიღწევები

ალბად მკითხველს მოეხსენება, რომ ჯერ კიდევ 1924 წლის დამლევს, რკინისგზელთა მუშაკკოან დაარსდა ე. წ. ჩვენი პარტიის ძველ მოდგაწე მუშათა წრე, რომელსაც პარალელურად მუშაკკოან უნდა გაეკეთო საშუალო ცოდნის პროგრამა.

ამ წრის, როგორც დაარსებას, ისე შემდგომ ხელმძღვანელობას უწევდა მუშაკის გამგე ამხ. ისმაილ ოოვიძე. ჩვენ არ ვიყავით მრავალრიცხოვანი, მაგრამ ჩვენი წლოვანება (48—65 წლამდე) აძლევდაც მეცადინეობის ნორმალურად წარმოებას. წლოვანობა იყო მიზეზი, რომ ერთ-ერთ მსმენელთაგანმა, ამ წრეს „მოხუცფაკა“ უწოდა.

ყურადსაღები ის არის, რომ დიდ უმეტესობას სკოლის კარებიც კი არ ჰქონდათ თავის დროზე ნახული და მთელი მათი ცოდნის მარაგს შეადგენდა ის, რაც ცხოვრებაში, რევოლიუციონერ ბრძოლაში და თვითგანვითარების გზით ჰქონდა შეძენილი. გაცხოველებული ენტუზიაზმით დაეუფენ სწავლას „მოხუცფაკელები“ და მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა, სიბერის ეკმა, შეხძლეს ეგემთა ცოდნის წყურვილის დაკმაყოფილების სიამოვნება, რომელიც მათ მოსპობილი ჰქონდათ.

ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, მიეგეული სალიტერატურო წარმოდგენა მეცნიერებაზე, მეორე—დაგვმტკიცებია ახალგაზრდებისათვის, რომ სწავლა ყოველ ასაკის კაცს შეუძლიან, თუ რომ ის გულწრფელად მოინდომებს და გულდადებით იშრომებს.

ძველი მუშაკი—მუშაკის კურსდამთავრებულები

რად წარმოებას. წლოვანობა იყო მიზეზი, რომ ერთ-ერთ მსმენელთაგანმა, ამ წრეს „მოხუცფაკა“ უწოდა.

ყურადსაღები ის არის, რომ დიდ უმეტესობას სკოლის კარებიც კი არ ჰქონდათ თავის დროზე ნახული და მთელი მათი ცოდნის მარაგს შეადგენდა ის, რაც ცხოვრებაში, რევოლიუციონერ ბრძოლაში და თვითგანვითარების გზით ჰქონდა შეძენილი. გაცხოველებული ენტუზიაზმით დაეუფენ სწავლას „მოხუცფაკელები“ და მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა, სიბერის ეკმა, შეხძლეს ეგემთა ცოდნის წყურვილის დაკმაყოფილების სიამოვნება, რომელიც მათ მოსპობილი ჰქონდათ.

ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, მიეგეული სალიტერატურო წარმოდგენა მეცნიერებაზე, მეორე—დაგვმტკიცებია ახალგაზრდებისათვის, რომ სწავლა ყოველ ასაკის კაცს შეუძლიან, თუ რომ ის გულწრფელად მოინდომებს და გულდადებით იშრომებს.

ალბად მკითხველს მოეხსენება, რომ ჯერ კიდევ 1924 წლის დამლეს, რკინისგზელთა მუშაკკოან დაარსდა ე. წ. ჩვენი პარტიის ძველ მოდგაწე მუშათა წრე, რომელსაც პარალელურად მუშაკკოან უნდა გაეკეთო საშუალო ცოდნის პროგრამა.

ამ წრის, როგორც დაარსებას, ისე შემდგომ ხელმძღვანელობას უწევდა მუშაკის გამგე ამხ. ისმაილ ოოვიძე. ჩვენ არ ვიყავით მრავალრიცხოვანი, მაგრამ ჩვენი წლოვანება (48—65 წლამდე) აძლევდაც მეცადინეობის ნორმალურად წარმოებას. წლოვანობა იყო მიზეზი, რომ ერთ-ერთ მსმენელთაგანმა, ამ წრეს „მოხუცფაკა“ უწოდა.

ყურადსაღები ის არის, რომ დიდ უმეტესობას სკოლის კარებიც კი არ ჰქონდათ თავის დროზე ნახული და მთელი მათი ცოდნის მარაგს შეადგენდა ის, რაც ცხოვრებაში, რევოლიუციონერ ბრძოლაში და თვითგანვითარების გზით ჰქონდა შეძენილი. გაცხოველებული ენტუზიაზმით დაეუფენ სწავლას „მოხუცფაკელები“ და მიუხედავად ათასგვარ დაბრკოლებათა, სიბერის ეკმა, შეხძლეს ეგემთა ცოდნის წყურვილის დაკმაყოფილების სიამოვნება, რომელიც მათ მოსპობილი ჰქონდათ.

ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, მიეგეული სალიტერატურო წარმოდგენა მეცნიერებაზე, მეორე—დაგვმტკიცებია ახალგაზრდებისათვის, რომ სწავლა ყოველ ასაკის კაცს შეუძლიან, თუ რომ ის გულწრფელად მოინდომებს და გულდადებით იშრომებს.

კომუნისტი

... ...

პარტიული ცხოვრება

ბიუროების ხელახალი არჩევნები

(ხაშურის რაიონში)

ამ დღეებში დამთავრდა კომუჯარედების ბიუროების გადარჩევა. გადარჩევების წინასწარი სამზადისი მიზნით ისახავდა უჯარედების წარსული მუშაობის ყოველმხრივი შემოწმებას, ყველა დეფექტების შესწავლას და მიდებული გაკვეთილების მიხედვით ახალ ღონისძიებების გამოშუშავებას, მუშაობის უფრო უკეთ დასაყენებლად.

ამ გადარჩევას არ ჰქონია „კაზიონური“ ხასიათი. მართალია, უჯარედების ცუდი და კარგი მხარეები არც წინათ იყო ჩვენთვის ცხრაკალეტულ შიგნით, მაგრამ ამ არჩევნებმა უფრო ზედმეწევნით დაგვანახვა მათი მუშაობის სრული სახე.

მართალია, ზოგიერთს ეჯიგრება „წვრილმანების“ მოსმენა, მაგრამ ძალა-უნებურათ დიდხანს მოგვიხდება თავის ტახი და გამოსავალ ღონისძიებების ძებნა იმ უყურადღრთ მუხრუჭების დასაბუნებრევად, რომელიც მუდამ ბორკავდა ხელს უსწორს უჯარედების მუშაობას.

არის უჯარედის წევრების პოლიტიკური ჩაბრრნელება და მათი ნიეთიური სიღატაკე.

როგორც ვიცით, ეს გარემრბა , ყველაზე უფრო სოფლის განეშორებელი თანამეგზავრი იყო და ნაწილობრივ არის დღესაც: გლეხობის ზრრამის პირობები აძნელებს სოფლად მუშაობის საქმეს და ცუდ გავლენას ახდენს უჯარედის წევრებზეეა.

ამის ნიმუშები საკმაო აღმოჩნდა ამ გადარჩევის დროს. გამოირკვა, რომ ზოგიერთ უჯარედებს 5—6 თვის განმავლობაში არც ერთი კრება არ ჰქონია და არავითარ საერთო საქმეზე არ უფიქრია. მაგ.: კოდის წყაროს უჯარედის მდივანი დაუქირაველებით სოფლის მეზახრეთ და გაუგზავნათ მთაში, უჯარედი კი უპატრონოთ იყო მიტოვებული. ამ უჯარედის თავის არსებობის დღიდან 5 წევრის მეტი არ ყოლია და არც ემატება. ეს კიდევ არაფერი. სოფლის უჯარედის მდივნის „ინერგიული“ ინიციატივით გაუკეთებიათ სოფლის ახალი „საკვირე“ („ნიში“) და მას ამით თავიც მოსწონდა, თუც „საკატო საბუთად „სოფლის ბოიკოტის“ საშიშროებას აღირნმედა. ამავე მდივანს წაუყენია ღირი საალდგომოთ და მინდორში დაუკლავს იმ მოსაზრებით, რომ „ბატონნის“ (წოდელი ყველანი) ეწყინებათ და გაავდებიანო. როდესაც ამ სოფლის კომკავშრეულები გამოდიოდენ საშუშაოთ ველ ჯვარისსულ დღესასწაულის დღეს, ეს „ტრთხეული“ მდივანი მათ ეწინააღეგებოდა და არ აძლევდა მუშაობის ნებას. ამ უჯარედის შემადგენლობა არ გასულიყოთ 7 წევრს (ამ რიცხვში 4 კანდიდატია) თავის დაბადების დღიდან.

საბედნიეროთ უნდა ითქვას, რომ სოფლის ახ-კომკავშრის უჯარედს დიდი სიფხიზლე. სიხალისე და უნარიანობა ეჩნეოვთ. მათ ბეგრთ გადაკეთებრ ზოგიერთ კომუჯარედებს.

სულ სხვა მდგომარეობაა მუშურ უჯარედებში, მართალია, აქაც არის დეფექტები, მაგრამ ეს დეფექტები უმნიშვნელოა დადებით მხარეებთან შედარებით. აქ მუშური უჯარედები თანდათან იზრდებიან, რიცხვრბრივით და თვისობრივად. ქალაქის ზოგიერთ უჯარედებს უმოაკრეს ნაკლათ აღნიშნული იყო ნაწილობრივ პარტ-ეკონომიკურნის დარღვევის შემთხვევები და უტაქტიკო მოქმედ ებ ებ, რაც უნდა მიეწეროს პარტ.ეკონომიის ზრდას და მისი ოგანების ახალი ელემენტების გამოავლენას.

ყველაფერი ეს ნაკლოვანებანი დაწერილები ეი ინა გამოაშკარაებენ ბიუროებ ბ ბ ბ

ქრონიკა

ამხ. ალ. ერქომაიშვილის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით, **აბრამ ისაკის ძე ივანინაძე** განთავისუფლებულია ს. ს. რ. კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის (ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში) თანამდებობისაგან

ამ თანამდებობის დროებით აღმასრულებლად დანიშნა ამხ. **ალექსანდრე მიხეილის ძე ერქომაიშვილი.**

ამხ. ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჟურულაშვილის დანიშვნა

მოსკოვიდან დაბრუნდა საქართველოს პროფსაბჭოს მივლენი ამხ. **გ. ჟურულაშვილი.** საქართველოს პროფსაბჭოს უახლოეს პლენუმზე, 1-ლ ივლისს, ამხ. ჟურულაშვილი მოხსენებას გააკეთებს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პლენუმის შედეგების შესახებ.

დახმარება ინფლიტის მუშებს

25 ივნისამდე საქართველოს პროფკავშირების წევრთა მიერ ინგლისის გაფიცულ მუშების დასახმარებლად შეგროვილია 33.160 მანეთი და 28 კაპ.

ამ თანხიდან—30.000 მანეთი უკვე გადაგზავნილი საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოში. ამას გარდა, დღეს გადაგზავნილი იქნება კიდევ 5.000 მანეთი.

ექსკურსია ზაჰეზში

კვირას, 27 ივნისს, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმი თბილისის საბჭოს წევრთათვის აწყობს ექსკურსიას ზაჰეზში. საბჭოს წევრებს მისაცემად დაწერილებითი ახსნა-განმარტებას ზაჰეზის მუშაობის მსელელობის შესახებ.

საბჭოს წევრთათვის საგანგებო მატარებელი გავა თბილისის სადგურიდან **დღეს სრული 9 საათზე.** თუ ცუდი ამინდი იქნა, ექსკურსია გადადებული იქნება შემდეგი კვირისათვის.

პროფსანეულების კოლეკლინიკა

პროფსანეულებასთან ბრძოლას უკანასკნელ ხანებში ეძიება განსაკუთრებული ყურადღება. დაინტერესებულ დაწესებულებათა მიერ, პროფსანეულებასთან ბრძოლის გაცხოველების მიზნით ამჟამად თბილისში ეწყობა პოლიკლინიკა, რომელიც ჯანმრთელობის კომისარიატის ნებართ, გაიხსნება და მოქმედებას დაიწყებს აგვისტოს პირველ რიცხვებში.

თბ. აღმასკომები

— **ქალაქის ბიბლიოთეკების** საპირობისათვის წელს გადაწყვეტილია 9669 მან.

— **8 წლიანი გეგმა.** დამტკიცებული იქნა გასნელების განყოფილების 3 თვიანი გეგმა

ახალი ხიდი. კეთილმოწყობის განყოფილებას დაეკვალა შეადგინოს გეგმა ეერის ბორანის ზეგით ახალი ხიდის ასაგებად. ხიდი შეიარეთებს სადგურის და ბაბროფალოს ბორანებს.

— **კომუნალურმა განყოფილებამ** დაამთავრა ტრამვაის საქმიანობის და მის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევა.

— **კეთილმოწყობის** განყოფილება იძენს 3 საბარგო და ნახევრად საბარგო ავტომობილებს.

წყლის ფასის გადახდის ვადა. ახალი დადგენილებით, წყლის გადასახდელებმა თახარეკილ წყლის ფასი უნდა შეტანინონ ანგარიშის ჩაბარების დღიდან 10 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ იწერება ჯარიმა.

— **ზაჰეზის** ამუშავების მოახლოების გამო, დაიწყო ელსადგურების სამმართველოს აპარატის შემოკლება.

— **ექიმები.** ჯანმრთელობის კომისარიატს პროგნეციების და ავტონომიურ რესპუბლიკებისათვის ესაჭიროება 46 ექიმი.

— **ჯანმრთელობა კომისარიატის** გამგეობაში არსებული გამასწორებელ სახლებს ყველა საავადმყოფოები გადაყვანილი არიან სახელმწიფო მიუჯეტზე.

საპენსიო დაზღვევა

— **არაზინდლობა** დაზღვეულ ავადმყოფებს მეორე წყვრა გაიგზავნება 1 ივლისს (პირველი წყვრა გაიგზავნა 15 ივნისს).

— **პანსიონატი.** საკურორტო სამმართველოს პანსიონატი უკვე გიიხსნა ზღვეარში.

— **გაგრის კურორტს** საკურორტო სამმართველო აფარეთოებს 250 საწოლით.

— **ბახმარზე** საგაგრაკო სეზონი გიიხსნება 1 ივლისს.

— **გაგრაში** ამ დღეებში დამთავრდება პოლკლინიკის და ზეკლინ სამკურნალოს მოწყობა.

— **შეკეთება.** ბებასთმაში დამთავრდა სანატორიუმებისა და სხვა ადარაკების შეკეთება.

სამეურნეო დაწესებულებები

— **მეტრიული სისტემა.** ა.-კ. სახ. კომისარიატ ბაზმან მიიღო მეტრიული სისტემის გატარების ახალი გეგმა.

— **ნისიაფ.** მეშკოოპმა, საქ. სახ. ვაჭრობამ და სამეურნეოო ტრესტმა გასულ წელს მთელ საქართველოში მუშებს მისცა ნისიად 920 მან. საკონეფი.

— **თამბაქოს ქარხანა.** აფხაზეთის უმაღლესი სამეურნეო საბჭო აფხაზეთში აგებს თამბაქოს მეორე ქარხანას.

ხელოვნების ქრონიკა

— **წითელ თეატრზე** წელს თბ. აღმასკომმა **დახარჯა 32.000 მან.**

— **კონსერვატორიის დარბაზში** დღეს გიმართება დიდი ვოკალური კონცერტი ბარატონების ანონოო ბოიარსკი ს და მაქს ნამოკიის მონაწილეობით.

აქტი კონსერვატორიაში. სახ. კონსერვატორიის დარბაზში კვირას, 27 ივნისს, დღის 12 საათზე დანიშნულია ზღიური აქტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ წრეთელ კურსდამთავრებული სტუდენტები.

პროფ. სამხატვრო ხელოვნების ასოციაციაში ღიღეს შაბათს, 26 ივნისს, 5 საათზე შესდგება საქ. სახ. ეკადემის დარბაზში ასოციაციის გამგეობის ყრილი.

თეთრმარმარილოვა კლუბში. ღიღეს, 26 ივნისს, თეთრმარმარილოვა კლუბში მიხეილ კვესაძის სახელობა მოშლერალთა გუნდი გამართავს დიდ სახალხო კონცერტს.

შემთხვევები

გაუპატიურება

24 ივნისს, ღამის 2 საათზე სამი უცნობი ბიჭი მეეზოვეს ილარ კუსუდიანს დამბარებთან შესულა ლიუსი ტიუშინა-ჩერნოვას ბინაზე (ალეზანოვის ბაღში. № 139) და გაბატაცებდნენ, რომ ისინი არიან მილიციის თანამშრომლები და მივიდენ მის დასაპატრონებლად. ამრიგად დაპტიმრებული ქალი წაიყვანეს მე-12 სამილიციო სამმართველოსაკენ და როცა მიუახლოვდნენ ბერძანელების ახალშენს, უცნობმა ბიჭებმა ძალით გაიუპატიურეს ხსენებული ტუშინა. მეზოგე კუსიდიანი დაპატიმრებულია.

„ქაზინოს“ მსხვერპლი

როგორც სისლოს სამართლის მილიციის კვლეგა-ძიებით გამოირკვა, მოკ. პუშნინს თავი იმიტომ მოუკლეს, რომ უკანასკნელ ხანებში „ქაზინოში“ ბანქოს თამაშის დროს წაუგია 600 მანეთი.

„როსტოვა“

გიორგი ქუთაშაძეს—თბილისს ავარები მეტსახელად „როსტოვს“ ეძახდენ. რამოდენიმე ხნის გასმაგლობაში იგი ხელმძღვანელობდა ჯიბგირების ჯგუფს. ბოლო ხანებში „ეეგობრებთაწაც“ ცუდი დამოკიდებულება ჰქონდა. ჯერ კიდევ გამასწორებელ სახლში ყოფნის დროს ცდილობდენ მეგობრები მის მოკვლას. უკანასკნელ დროს „როსტოვა“ უეზო-უკელოდ დაიკარგა. ხოლო რამოდენიმე დღის შემდეგ, იგი იპოვეს მკედრად—თბილისს ოლქის ბენის სადგურთან სჩანს, რომ უკმაყოფილო „მეგობრებს“ თავისი ძველი განაზრახვა სისრულეში მოუყვანიათ.

— **წყალში გადადგარნა.** 24 ივნისს, ღამის 12 საათზე ეერის ხიდთან მტკვარში გადავარდა ნინო ზაიკეკა, რომელიც გიდაჩრენილი იქნა.

— **ვვამის ბოვნა.** 24 ივნისს, სოღოლნეულის მახლობლად იპოვეს არამანტონიანცის ვვამი.

— **ოფთომკვლელობა.** 24 ივნისს, რიყის ქ. № 74 სპირდონ კუშვილაცმა რევოლვერით მოიკლა თავი.

— **დაბრჩობა.** 24 ივნისს —მუხრანის ხიდის ბახლობლად ახრნის დაბანის დროს მტკვარში დაიხრჩვა ვასილ ნატიაძე.

— **შეპარვა.** 24 ივნისს, ქურდობისათვის შეიპყრეს ბაროი და ჯუბლეეი.

— **ქურდობა.** 24 ივნისს. კიბანის შესახებ № 16 ვაქურდეს ეგვანია ბეღეიანსეის ბინა.

— ამავე დღეს ივანეულოვის ქ. № 1 კონ. ბეგინაძის სასადილოდან მოიპარეს 127 მან.

— ამავე დღეს გაქურდეს სერგო ამირაეის (ვინეკეერის ქ. № 14) ბინა.

— ამავე დღეს კონსტანტინე დადაშვილის ბინიდან მოიპარეს 100 მან. ნივთები.

— ამავე დღეს გაქურდეს მარიამ გეპალეის ბინა.

სასამართლო

[illegible] **ბინის ექსპროპრიაციის საქმეები**

[illegible] **ოთბრის** შემდეგ სასამართლოს [illegible] **ინენი** კონსტანტინე კუციდის საქმეზე.

ბრალდებული კუციდი დანაშაულად იქნა ცნობილი უფლებების გადამეტებაში, რითაც მიაყენა ზარალი თამბაქოს ტრესტს—10.296 მან. და 5 კაპ. რაოდენობით. გარდა ამისა მიიგიანა და გაფლანგა პირადი საკერძოებისათვის—10.250 მანეთი, რისთვისაც მას სასამართლომ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი დახვრეტა.

სამოქალაქო ძიება დამტკიცებულია 20.546 მან. და 5 კაპ. ოაოდენობით.

ფურის ძიება

საბურთალოს მეხოვრეზეა რუსტამ-ატამ-ოღლიმ გაანაცხადა მილიციაში, რომ „კოჯორის გზაზე მოკვლის მიზნით მას თავს დაესხნენ ბოროტმოქმედნი. ის ღიღით ზეზეთიდან მიდიოდა ახალციხეში [illegible] ოღლი ნაპირას გავიდა, თავს დაესხა გასან-ოღლი და ეს-ოროა. ბოროტმოქმედი ბოროტმოქმედი მიიმალა. რუსტამ-ოღლის ჩვენებით, გასან-ოღლი მას თავს დაესხა ფურისძების ნიადაგზე. კვლევა-ძიება სწარმოიგზს.

შეცდომის გასწორება

სასამართლოს განყოფილებაში მოთავსებული ცნობა მსჯავრდადებულ დ. ზელიასათვის უმაღლესი სასჯელის შეფარდების შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება. პროკურორის პროტესტაზე არ არის ნახსენები ზელიას დახვრეტიდან დასჯის შესახებ. პროკურორის პროტესტი აღმშენელ სამის გამო გამოწვეულია სასამართლოს მიერ სხვადასხვა ფორმალური მხარეების დარღვევით და ზოგიერთი ბრალდებულების სრულიად გამართლებით.

ეუზენეს სასამართლოს პროკურორის თანაშემწე **გ. ბაბუნია.**

ა.-კ. ცაკი

თათბირი

ღიღეს ღიღით ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასკომთან გაიხსნება თათბირი, რომელიც განიხილავს საკითხს უმტკრონო ბავშვთათვის დახმარების გაწევის შესახებ.

რკინის გზის სადგური

საქ. ცაკს მიეცეო ბამოარკვიოს საკითხი რკინის გზის სადგურის ზუფადიზეზე, თუ მის მახლობლად გახსნის შესახებ.

ნახიჩევანი არაკეზე

აღიძრა შუამდგომლობა საკადგირო მთავრობის წინაშე, რომ ერეენის ნახიჩეანს ეწოდოს ნახიჩევანი არაკზზე.

მოკრძალე თავმჯდომარეა

ა.-კ. ცაკის მორიგ თავმჯდომარედ 1 ივლისიდან იქნება ამხ. ხანოიანი.

მაუდის ქარხანა

როგორც გამოცხადებული იყო ჩვენს გაზეთში, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო თბილისში აგებს მაუდის ქარხანას, რომელიც წლიურად დაამუშავებს 60 ათას ფუთამდე მატყლს.

ჩვენი გაზეთის თანამშრომელს ამ ქარხნის შესახებ უმაღლეს სამეურნეო საბჭოში გადასცეს შემდეგი ცნობები:

საქართველოში ყოველ წლიურად შეიძლება დამზადდეს 100 ათასი ფუთი მატყლი. ამ რაოდენობიდან დაახლოებით 20-27 ათას ფუთს გადაამუშავებს ქუთაისის მაუდის ქარხანა. დანარჩენი მატყლი მოეწყება თბილისში ასაგებ მაუდის ქარხანას. მომავალში, მეცხვარეობის განვითარებასთან ერთად, მოსალოდნელია მატყლის დამზადების გაფართოებაც, რაც თავის ეხრივ ხელს შეიწყობს თბილისის მაუდის ქარხნის წარმოების გაძლიერებას.

მაუდის ქარხანა აიგება დიდუბეში, იგი ეწყობა ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების მიხედვიით. მუშაობა დაიწყება წელს. სამეურნეო საბჭო ქარხანასთვის საჭირო მანქანებს იძენს საზღვარგარეთ. ქარხნის აგების დასრულება და ამუშავება განზრახულია მომავალ წელს. ქარხნის აგება დაჯდება 2 ნახევარი მილიონი მანეთი.

ქარხანაში ამუშავებს 1200 მუშა, ელექტროენერგიას ქარხანა მიიღებს ზაჰეზიდან.

ქარხანასთან, სხვათა შორის, ეწყობა შესაფები გასყოფელის. აგრეთვე მოწყობილი იქნება წყალის დამწმენდი აპარატები, რომ მატყლის რეცხვით გაბინძურებულმა მტკვარმა ზიანი არ მიაყენოს მოსახლეობას.

ტილეფონი

აპარატებში და სამხრეთ-ოსეთში

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ამიერ-კავკასიის ოლქის სამმართველო შეუდგა ტელეფონის მოწყობას აპარატებში და სამხრეთ-ოსეთში. აღგილები გაიგზავნეს ყველა საჭირო მასალები-მავთელი, იზოლიატორები, ტელეფონის აპარატები და სხვა. აპარატებანისათვის საჭირო მოწყობილობა შეძენილია მთელი-ნად. სამხრეთ-ოსეთში ვაიგზავნა ნაწილი, დანარჩენი კი შეიენილი იქნება ახლო ხანში.

მთელი მუშაობა განზრახულია დამთავრებული იქნეს მომდინარე ზაფხულის განმავლობაში. სამხრეთ-ოსეთში ტელეფონის ხაზი გაყვანილი იქნება 245 კილომეტრის მანძილზე, აპარისტებში კი 271 კილომეტრზე.

სულ სამხრეთ-ოსეთში და აპარისტანში დადგმული იქნება 60 ტელეფონის აპარატი.

მუშკოოპის ახალი პასაჟი

თბილისის მუშკოოპმა დააწყო ახალი პასაჟის (ქარვასლის) აგება თბ. სადგურის პირდაპირ. ქარვასლაში სულ იქნება 10 გასაყოფელება, სადაც ვაიყიდება სასოფლო-მეურნეობისათვის საკირო და საკერეხო საგნები.

ქარვასლაში გაიხსნება საკლეტრ მანუფაქტურის სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ფეხსაცმელების, ტყავეეულობის, საგასტრონომო, ბრილი წყლების და სხვა ვასყოფილებები.

ქარვასლის მოწყობის მიზნით ჩაბოსელ ბლეხებისათვის ყველა საჭირო საგნების მოწოდება და მეეთაზეობასთან ბრძოლა. ქარვასლასთანვე მოეწყობა იაფ-ფასიანი სასტუმრო და მეზეიერების დასასვენებელი დარბაზი.

სულ ქარვასლის აგება დაჯდება 10.000 მანეთამდე. შენობის ასაგებთ გამოყოფილიული იქნება ძველი საკაბშენებლო ქვის და რკინის მასალები.

ქარვასლა გაიხსნება და მუშაობას დაიწყებს სექტემბრის პირველი რიცხვებიდან.

მეღვინეობა

თუ როგორი გზით მიდის ღვინის გასალების საქმე ჩვენში ამას გვიჩვენებს შემდეგი ცნობები. ოქმით საქართველოში წლიურად მოდიოდა 7-8 მილიონი ედერო ღვინო. აქედან 2-3 მილიონი ედერო საღდებოდა საქართველოს ფარგლებს გარეშე, უმთავრესად რუსეთში. რევოლიუციის შემდეგ ღვინის გატანის საქმე ძალიან დაეკვა. გასულ წელს მაგალითად, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში და სხვა ქვეყნებში გასასალებლად დაიზადდა 477.500 ვედრო ღვინო.

ღვინის ბაზრის მოსაპოვებლად მთავრობამ დაუსვა ღვინის აქციზი. ამას გარდა დაარსებულია „ოოთეერატიული ამხ-ბა „საქართველოს ღვინო“, რომელიც ყოველი მხრივ უწყობს ხელს მეგენსეობა-მეღვინეობის განვითარებას და ღვინის გასალების საქმეს.

ჯეე შეიძლება აღინიშნოს, რომ ჩვენებური ღვინო თანდათან იპყრობს რუსეთის ბაზარს და რაც დრო გადის ეუერი იზრდება მოთხოვნილება მასზე. მიმდინარე წელში განზრახულია საქართველოს 1 მილიონი ედერო ღვინის გასალება.

რემედასსი

საქართველოს რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შეფობა საბერძნეთის, ალეკორის და მთაწმიდის პოლიტპატიმრებზე.

შეფობის აღებასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლად, რემედასის ეიკასთან დარსდა ცალკე საშეფო და საგანგებო-საერთაგანლეო კომისიები.

კომისიები უკვე შეუდგენ მუშაობას.

პენსიები

29 ივნისს შესდგება სოც.-უზრ. კომისარიატის მიერ მოწვეული საუწყებათაშორისო კომისიის სხდომა, რომელიც გამოარკვევს საკითხს რეგულიციისა, სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე შესაბამრებელ პირთათვის პენსიების დანიშვნის შესახებ.

კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ განათლების კომისარიატის, შრომის კომისარიატის, ფინსახკომის და პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლები.

სულით ავადმყოფნი

რესპუბლიკის ცენტრ. ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მაისის განმავლობაში განეკურნებულია 23 სულით ავადმყოფი. ამავე თვეში მიეღიათ 26 ასეთი ავადმყოფი.

25 ივნისამდე კი—საავადმყოფოში მიეღიათ 18 ავადმყოფი, ხოლო განკურნებულა და გაწერილა 15 კაცი. ავადმყოფთა საერთო რიცხვიდან ეენსაში გარდაცვლილა 3 კაცი.

მეცნიერება და ტექნიკა

ფოტო-სურათი 10 წუთში

ამერიკის არმიის საინჟენერო სამმართველო ცნობილ კოდაკის ფირმასთან ერთად ამეამად ამუშავებს სურათების გადაღების ახალ წესს. ამ ახალი წესის უპირატესობა აეროპლანიდან სურათების გადაღების ძველი წესის ეროაშე იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელი ხდება ბომბებსაგან სურათების ძლიერ ჩქარა მიღება. ერთი საცდელი გაფრენის დროს რო. ჩესტერის ახლო ორმა მფრინველმა გადაიღო სურათი და 10 წუთის შემდეგ მიწაზე გადმოაგდო მზაზმზარეული ფოტოგრაფია.

ბალამფრავარი ელექტრ. ლამპის აღდგენა

გერმანიაში, სადაც მომპრრნეობის რეეიმი გერმანული სიმტკიცით ტარდება, გადამწყვეტ ელექტრონულ ლამპებს იძენენ მოსახლეობისაგან და გზგანინან სპეციალურ დაწესებულებებში, სადაც მათ აღადგენენ.

აღდგენილი ლამპების დიდი რაოდენობის გასინჯვამ სახელმწიფოო ფიზიკო-ტექნიკურ ლაბორატორიაში დაამტკიცა, რომ 16 სანლოინი ლამპები ისევ ამდენივე ძალის სინათლეს იძლევიან, 25-ნი და 50 სანლოინი კი ნორმალურთან შედარებით ნაკლებს. აღდგენილი ლამპების სანთელზე საშუალოდ 1—2 ვატ ენერგიას ხარჯავენ.

აღდგენილი ლამპები 50%-ით ნაკლებ ფასში იყიდება, ვიდრე ახალი.

ელასტიური ფუძა

ეკონომისტ როშეს მოყავს შემდეგი მოთხრობა ერთი რომაელი იმპერატორის (ალბათ ტიტუსის) შესახებ: მასთან ძიეიდა ერთი მოქალაქე ძე მის მიერ გამოგონებულ ელასტიური ზნის ნიმუშით. დარწმუნდა რა იმაში, რომ განცხადება გამოგონების შესახებ მართალი შეეფერება სამართლეს, „ბრძანა“ იმპერატორმა ბასცა ბრძანება, რომ გამომგონებელისათვის თავი მოეკვეთათ. ახლანდელი გამომგონებლების თავებს ისეთი საფრთხე არ მოელის. სამაგიეროთ დიდი საფრთხე მოელის იმთა ჯიბეს, ვისაც გულუბრალოდ სჯერა რეკლამებში ასალი გამოგონების შესახებ და ამიტომ ცნობასაც ელასტიური მნის გამოგონების შესახებ სიფრთხილით უნდა მოეეკვრათ.

არსებითად, რომ ესთქვათ, უკვე ცელულოიდმა გადაიწყვიტა ელასტიურ და გამქვირვაე შუშის დამზადების ამოცანა.მაგრამ ცელულოიდს დიდი ნაკლოვანებებები აქვს: აფეთ-ლად იმტვრევა, იწვების და იფხაზნება. მაგრამ 1925 წ. ორ ავსტრიელ ქიმიკოსს— **ბოდეასა** და **რუბერს** გამოუგონიათ ახალი მასალა, რომელიც არ იწვის ცეცხლში და იმდენთ მაგრია, რომ დანა მასზე სტოვებს კვალს მხოლოდ მაგრათ დაჭერის შემდეგ.

ილუნება იგი რა სისქისაც არ იქნის დამზადებული და თუ მას გასტეხს, მას არა აქვს ისეთი წვეტიანი კიდეები, როგორც შუშას. ამ ახალი მასალის წონა ორჯერ [illegible] ვიდრე შუ[illegible] [illegible] ელასტიურ [illegible] [illegible] ტოდ გამქვირვალეა თვით ულტრაიის ფერი სხივებისათვისაც.

რენტგენის სხივების გამოყენება

ძლიერ ზმირათ თორმეტის ანთება (ნეფრიტი) იწვევს ორგანიზმის მოწამლვას ბაროის შემადგენელ ნაწილებით (ურემა); რასაც ზოგჯერ სიკვდილი მოჰყვება ხოლმე.

ავსტრიელ ექიმს **სტეფანს** სიტყვით რენტგენის სხივებით ანთრის (ბარიის გამოყოფის შეწყვეტა) მკურნალობა ეფარება იმას, რომ რენტგენის სხივები ბაგელნის ანდენენ თორმეტის კანელიარებზე (ურეთი მილები), აფარიოებენ მათ. მაგრამ თორმეტის ქრონიკული ანთების დროს განკურნების იმედი ძალიან სუსტია. ავსტრიელი ექიმი **ბალერი** (ვენა) მოწმე შეიჭნა, რომ ნეფრიტი გაქრა დღე-ეამეში რენტგენის სხივებით ორჯერ ზეგავლების მოხდენის შემდეგ.

იურიდიული დასმარება

კანონიერია თუ არა ჩემი ძმის მოთხოვნა

 კითხვა

ჩემი ძმა თავისი ცოლით სესხოვრობდა არაკანის შეს. № 2, ეკავა ბინა, შემდეგ მას მოეკვიდა უსანანრენება თავის ცოლთან, დაშორდა მას. თვითონ წაეიდა ბათომში სამსახურში და ის ბინა გადმოძმეა მე. უკვე 1 წელ. და 4 თვეა, რაც მე ბინა მიჭირავს. ახლა ჩემი ძმა ისევ შეურიგდა თავის ცოლს; ჩამოვიდა თბილისში ჩემს ბინაზე და მოითხოვს ბინის დაცლას.

გთხოვთ მომეცეთ ახსნა-განმარტება კანონიერი. თუ არა ჩემი ძმის მოთხოვნა. ეარ კავშირის წევრი.

კავშირის წევრი ნოგნ. № 2663.

პასუხი

თქვენმა ძმამ ბათომში სამსახურზე გადას�on, რაც გაგრძელდა ერთი წლის და ოთხ თვის განმავლობაში, ბინასთან გაწყვეტა ყოველგვარი კავშირი და მაზე თქვენს ძმას არავითარი უფლება არ აქვს. ამიტომ მისი მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლო და უკანონოა.

მოგვცემა თუ არა პენსია?

კითხვა

რკ. გზაზე ემსახურებდა 25 წელზე მეტი. მოხუცებულობის გამო დამთხოვეს სამსახურიდან ემეშეიკების დროს. რკ. გზაზე დაბადებული ვაქვს ფეხი და ეკოკლეოს. ამჟამად ვარ 66 წლის მოხუცი. მაქვს ნორმაზე ნაკლები მიწა, ეზოთი და საცხოვრებელი სახლი დიდ-ჯიხაურში. მე თვით შრომის უნარი მოხუცებულობის გამო ეკარგეოდა და სამი გასათხოვარი ქალიშვილისაგან, რომელნიც ანსად არ მსახურობენ და არიან ჩემს ხარჯზე. ერთი მათგანი კიდევაც სწავლობს უნივერს.-ში. მაქვს თუ არა უფლება მომეცეს პენსია, როგორც შრომის ულარ დაკარგულს, ყოფ. რკინისგზელს. ოჯახს შემოუდგა ბორტი ზეგით აღნიშნული შემოსავალი, რომელიც ხმარდება ისევ ამათ, ვინც არიან ჩემ ხარჯზე და უფროსი ვაეეხი-კი არავითარ დახმარებას არ მიეეეენ და მე კი ვრჩები ამ სიშიერის დროს უსაესრო, ვინაიდან დახმარება არსაიდან მაქეს.

მ. რუხაძე.

პასუხი

**თანახმად ამიერ-კავ. შრომის სახ. კომისარიატის 1924 წ. 17 ივნისის ცირკულიარი № 119-ის მუხ. 1-ლის საერთო წესით შრომის ყველა ინვალიდებს, რომელთა ინვალიდობა მოხდა ხალხეეე